საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
2017 წლის 28 სექტემბერს (დადგენილება N16)
ცვლილება განხორციელდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
2023 წლის 27 მარტს (დადგენილება N7)

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებანი
მუხლი1. რეგულირების სფერო

თავი II. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება
მუხლი 2. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება
მუხლი 3. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა

თავი III. სასწავლო პროცესის ორგანიზება
მუხლი 4. სასწავლო სემესტრები მუხლი
5. სტუდენტის დატვირთვა
მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია
მუხლი 7. შიდა მობილობა

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა მუხლი
8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები მუხლი 9.
სტუდენტის სტატუსის აღდგენა

თავი V. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა
მუხლი10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები
მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები მუხლი 11.
სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

თავი VI. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები
მუხლი 12. სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები
მუხლი 13. დამატებითი სემესტრი
მუხლი 14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/გრაფიკი
მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმებისშემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა
მუხლი 16. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება მუხლი 17. სწავლის საფასური

თავი VII. სტუდენტის მიღწევების შეფასება მუხლი 18. შუალედური/დასკვნითი გამოცდა მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი
მუხლი 20. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება

თავი VIII. აკადემიური ხარისხის მინიჭება
მუხლი 21. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება
მუხლი 22. დიპლომი/მოწმობა

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები
მუხლი 23. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული დოკუმენტები

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია განსაზღვროს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – "უნივერსიტეტი") სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება–მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

უნივერსიტეტი ახორციელებს სამი ტიპის აკადემიურ საგანმანადამათლებლო პროგრამას: ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; დოქტორანტურა. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ანუ სტუდენტის მიერ ათვისებულად (მიღწეულად) ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს:

საბაკალავრო პროგრამაზე -240 კრედიტს;
სამაგისტრო პროგრამაზე - 120 კრედიტს;
სადოქტორო პროგრამაზე - 60 კრედიტს (სასწავლო კომპონენტი).

თავი II. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1. ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია:

ა. ხელოვნების (საშემსრულებლო ხელოვნების) მიმართულებებზე (თეატრალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება) - შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისა.

ბ. სახელოვნებო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებებზე - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისა.

2.2. მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია:

ა. ხელოვნების (საშემსრულებლო ხელოვნების) მიმართულებებზე (თეატრალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება) - სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და/ან მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებით და/ან შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.

ბ. სახელოვნებო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის მიმართულებებზე - სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს საერთო სამაგისტრო გამოცდასა და/ან შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ გამოცდას/გამოცდებს.

2.3. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული წესის შესაბამისად.

2.4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.5. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე

ბაკალავრიატის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა

3.1. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესისა და შიდასაუნივერსიტეტო მარეგულირებელი ნორმატიული წესების შესაბამისად.

თავი III. სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 4. სასწავლო სემესტრები

4.1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.

4.2. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე სემესტრების (მაგ., ზაფხულის/ ზამთრის...) განსხვავებული რაოდენობა შესაბამისი პროგრამებისთვის შესაძლებელია დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

4.3. სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სასწავლო-სააუდიტორიო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადები.

4.4. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 (15 სასწავლო-სააუდიტორიო და 5 სასესიო (მათ შორის - 4 კვირა ძირითადი, ხოლო 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის) კვირას). სასწავლო- სააუდიტორიო 15 კვირა ეთმობა მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდების ჩატარებას, ხოლო სასესიო 5 კვირა ეთმობა დასკვნითი/ფინალური გამოცდების (როგორც ძირითადი, ასევე-დამატებითი) ჩატარებასა და აკადემიური დავალიანებების აღმოფხვრას.

მუხლი 5. სტუდენტის დატვირთვა

5.1. უნივერსიტეტში 1 კრედიტი ტოლია 25 საათის. სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60-75 კრედიტს.

5.2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 37.5 კრედიტს.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

6.1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას უნივერსიტეტში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს

სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

6.3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო პროცესში ჩართვას შესაბამის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებით.

6.4. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ ქვეყანაში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესითა და უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით (მემორანდუმით) განსაზღვრული პირობებით.

6.5. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სამეცნიერო-კვლევით და/ან საშემსრულებლო-შემოქმედებით კომპონენტზე დარეგისტრირებას, მშობლიურ უნივერსიტეტში ან უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი წესით.

6.6. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

6.7. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს წინასწარი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია რექტორის ბრძანებით რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის დაწყებამდე 60 დღის განმავლობაში. აღნიშნული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი ეთვლება აქტიურად.

6.8. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტი წინასწარი ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, ხოლო წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისათვის - შესაბამის ფაკულტეტს.

მუხლი 7. შიდა მობილობა

7.1. უნივერსიტეტში სტუდენტის ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის (შემდგომში - „შიდა მობილობა“) ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი/ფაკულტეტები. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ.

7.2. უნივერსიტეტში შიდა მობილობის პროცედურა რეგულირდება რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

8.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

დ) პირადი განცხადება.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს. სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში განცხადებით მიმართვის შემთხვევაში სტუდენტი ინარჩუნებს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

8.3. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.

8.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.5. დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

8.6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

9.1. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

9.2. უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტს სემესტრი განესაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისად.

თავი V. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

10.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ერთი და იმავე ძირითად, მაპროფილებელ სასწავლო კურსში კრედიტის ორჯერ ვერ მიღება და/ან სხვა სასწავლო კურსში (დამხმარე, საუნივერსიტეტო, არჩევითი და სხვ.) სამჯერ კრედიტის ვერ მიღება. (აკად. საბჭ. დადგ. 11.09.2025, #13);

ე) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ვ) გარდაცვალება.

10.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

11.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

11.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი გახდა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება, რაც განპირობებული იყო სტუდენტის მხრიდან უნივერსიტეტის ეთიკის ნორმების დარღვევით/უხეში გადაცდომით, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, სტატუსის შეწყვეტიდან სამი წლის განმავლობაში, არ მიიღოს იმავე პირის საბუთები.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

12.1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით პროცესსა თუ სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, სეხელოვნებო-შემოქმედებითი და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;

12.2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

ბ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, პერიოდულად ეცნობოდეს უნივერსიტეტის შესაბამის სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

გ) არ შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში მიმდინარე როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პროცესების, მათ შორის სპექტაკლების, რეპეტიციების განხორციელებას. დაუშვებელია სტუდენტის მხრიდან მისი აქტიური ქმედებით, ასევე არასაპატიო მიზეზით უნივერსიტეტში რაიმე ტიპის პროცესის ჩაშლა. აღნიშნული წარმოადგენს უნივერსიტეტის ეთიკის სტანდარტების დარღვევას და საფუძველი გახდება სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების.

12.3. პირს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

მუხლი 13. დამატებითი სემესტრი

13.1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში. ამისთვის სტუდენტს დამატებით ეძლევა 4 (ოთხი სემესტრი).

13.2. პირველი ორი დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად, ხოლო მომდევნო დამატებით სემესტრებში სტუდენტი იხდის მიმდინარე სემესტრში არსებულ სემესტრულ გადასახადს.

13.3. თუ საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილია სემესტრულ 1125 ლარზე მაღალი სწავლის საფასური, კრედიტის ფასი გამოითვლება სემესტრული გადასახადის შეფარდებით სტუდენტის საშუალო სემესტრულ დატვირთვასთან (30 კრედიტი).

13.4. საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტის ღირებულება შეადგენს 37,5 ლარს.

მუხლი 14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/გრაფიკი

14.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გრაფიკის შემუშავების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხადრაჭერა და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გრაფიკის შემუშავება ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით;

14.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს განცხადებით, რომელშიც უნდა მიუთითოს სწავლის ხელისშემშლელი ფაქტორები. სტუდენტის განცხადების განხილვის, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირებისა და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალით დაკომპლექტებული კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გრაფიკის შემუშავების და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ (ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად და გადაწყვეტილება მიიღება ყველა გარემოების შესწავლის საფუძველზე);

14.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი როგორც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/გრაფიკს, ისე სტუდენტის ხელშეწყობის და მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს (სპეციალური სასწავლო მასალით უზრუნველყოფა, სტუდეტის საჭიროებიდან გამომდინარე მისთვის ოპტიმალური სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირებთან კონსულტაციები და სხვ.);

14.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, ამავდროულად, შეიძლება გულისხმობდეს ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავებას, რაც ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სწავლა/სწავლების ოპტიმალური ფორმისა და პირობების შერჩევით და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო საათების რაციონალურად დაგეგმვით;

14.5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/გრაფიკი შემუშავდება ერთი სემესტრისთვის და მისი საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;

გ) ინდივიდუალური გრაფიკით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული მოთხოვნების შესრულება, დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა და შუალედური შეფასებებით და დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით არანაკლებ 51 ქულის მიღება;

14.6. სტუდენტს მიეწოდება ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გრაფიკის შესახებ. ასევე, მას შეუძლია მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის/გრაფიკის შემუშავების პროცესში;

14.7. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან/გრაფიკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით.

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

15.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების წინასწარ ინფორმირება აღნიშნულის შესახებ;

15.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, რენტაბელობის და გაუქმების საკითხი;

15.3. უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოდიფიცირების გზით განათლების ერთი და იმავე საფეხურისა და მომიჯნავე მიმართულების/ სპეციალობის/ სპეციალიზაციის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იძლეოდეს სტუდენტების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას;

15.4. უნივერსიტეტის შესაცვლელი/გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს: სწავლა გააგრძელოს სასწავლო უნივერსიტეტში განათლების იმავე საფეხურის ანალოგიურ ან მომიჯნავე მიმართულე ბის/სპეციალობის/სპეციალიზაციის (მაგისტრატურის შემთხვევაში) სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (უნივერსიტეტში ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში

და ისარგებლოს მობილობის უფლებით (ჩაბარებული საგამოცდო ტიპის გათვალისწინებით);

15.5. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს გაუწევს კონსულტაციას თუ რომელი პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შეცვლილი/გაუქმებული პროგრამით მიღებული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობით აღიარება;

15.6. უნივერსიტეტში შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლის გაგრძელების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ სასწავლო კურსებსა და უნივერსიტეტის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის. უნივერსიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების მიზნით სტუდენტებისთვის (მათი თანხმობის შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რაც მიენიჭებოდა იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა;

15.7. თუ გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ სხვა უსდ-ში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მილევად რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას უახლოესი მობილობის გამოცხადებამდე - სხვა უსდ-ში სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა გამოიყენოს მობილობის უფლება, თუ გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა არ ისარგებლა მობილობის უფლებით, მას უჩერდება სტუდენტის სტატუსი;

15.8. სასწავლო ჯგუფის გაუქმების შემთხვევაში სასწავლო პროცესი გრძელდება მობილობის გამოცხადებამდე, რათა სტუდენტებმა შეძლონ მობილობის (მათ შორის, შიდა მობილობის) უფლების გამოყენება;

15.9 თუ იცვლება ან უქმდება საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის თავსებადი პროგრამა უნივერსიტეტში არ ხორციელდება, მაშინ ამის შესახებ წინასწარ აცნობებენ შესაცვლელი ან გასაუქმებელი პროგრამის სტუდენტებს და მათ ეძლევათ მიმდინარე სასწავლო წლის/სემესტრის დასრულების შესაძლებლობა. ამ პერიოდში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შეთანხმების გაფორმდებას იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელშიც შესაძლებელია შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარლებში მიღებული კრედიტების აღიარება.

მუხლი 16. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება

16.1. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 17. სწავლის საფასური

17.1. უნივერსიტეტში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება სემესტრული გადასახადით და ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე შეადგენს 1125 ლარს.

17.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური ფაკულტეტებისა და პროგრამების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის 1- ლი პუნქტით დადგენილი ოდენობისა.

17.3. ცალკეულ სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.

17.4. სადოქტორო პროგრამებზე სწავლის საფასურზე შეღავათის საკითხს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

17.5. გარდამავალი პერიოდის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

17.6. თუ არსებობს შეღავათიანი ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ოდენობა.

17.7. ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.

17.8. სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.

17.9. თუ სტუდენტი სტატუსს აღიდგენს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მან უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. ამ შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით.

17.10. სტუდენტი, რომელიც ჩარიცხვიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ არ მონაწილეობდა სასწავლო პროცესში და მის მიმართ არ გამოცემულა შესაბამისი სამართლებრივი აქტი (გარიცხვის/ამორიცხვის/შეჩერების ბრძანება), სწავლის გაგრძელების უფლების მიცემის შემდეგ, ვალდებულია განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას უნივერსიტეტში დადგენილი ტარიფის შესაბამისად.

თავი VII. სტუდენტის მიღწევების შეფასება

მუხლი 18. შუალედური/დასკვნითი გამოცდა

18.1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა.

18.2. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსთან;

ბ) დასკნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

18.3. შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 1 კვირის ვადაში;

ბ) შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 1 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი.

18.4. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა) ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის/შემოქმედებითი პროექტის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში (F/FX), მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

დ) სამაგისტრო ნაშრომის/შემოქმედებითი პროექტის დაცვაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მომდევნო სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე დაცვაზე დამატებით გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით;

ე) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

ვ) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში; ზ) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX- ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნებადა სკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომისმიმართ.

18.5. სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა

ა) ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი

19.1. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა (გარდა საშემსრულებლო-შემოქმედებითი კომპონენტისა) წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს. დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

19.2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.1. (A) ფრიადი–შეფასების 91-100 ქულა;

ა.2. (B) ძალიან კარგი–მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.3.

(C) კარგი–მაქსიმალური შეფასების 71- 80 ქულა;

ა.4. (D) დამაკმაყოფილებელი–მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.5.

(E) საკმარისი–მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.1. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.2. (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

19.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი და/ან საშემსრულებლო-შემოქმედებითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი და/ან საშემსრულებლო- შემოქმედებითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

19.4. თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.

19.5. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

19.6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

19.7. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

19.8. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება სემესტრი შუა (მე-6-მე-8) კვირას სასწავლო პროცესის შეწყვეტის გარეშე. თითოეულ სემესტრში სავალდებულოა მინიმუმ ერთი შუალედური გამოცდის ჩატარება.

19.9. შუალედური შეფასებების შედეგების მიხედვით დასკვნით (ფინალურ) გამოცდაზე დაშვებისათვის თეორიულ კურსებში აუცილებელია სტუდენტმა მოაგროვოს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულობრივი რაოდენობის მინიმუმ 35%. ანუ მისი შუასემესრტული შეფასებების ჯამი თეორიულ კურსებში არ უნდა იყოს 21 ქულაზე ნაკლები. საშემსრულებლო- შემოქმედებითი ხელოვნების მიმართულების პრაქტიკულ კურსებში აუცილებელია სტუდენტმა მოაგროვოს შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულობრივი რაოდენობის მინიმუმ 40%. ანუ მისი შუასემესრტული შეფასებების ჯამი პრაქტიკულ-შემოქმედებით სასწავლო კურსებში არ უნდა იყოს 24 ქულაზე ნაკლები.

19.10. მასწავლებლის ბონუსი (არსებობის შემთხვევაში) შუალედურ, ჯამურ შეფასებას ემატება სასწავლო- სააუდიტორიო პერიოდის დასასრულს (არაუმეტეს 3 ქულისა).

19.11. სტუდენტს გამოცდის (შუალედური, დასკვნითი) შედეგი უნდა ეცნობოს გამოცდის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 დღისა. დამატებითი გამოცდა საჭიროების შემთხვევაში ინიშნება შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5დღისა.

19.12. აკადემიური დავალიანების აღმოფხვრის მიზნით სტუდენტს უფლება აქვს დამატებით შეისწავლოს წელიწადში 10 კრედიტამდე ოდენობის სასწავლოკურსი/კურსები.

19.13. სტუდენტის სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების ჯამი ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 60- ისტოლი. თუმცა, სტუდენტს უფლება აქვს წელიწადში 15 კრედიტამდე ოდენობის სასწავლო კურსის/კურსების აკადემიური დავალიანების შემთხვევაში გადავიდეს მომდევნო დონეზე,თუკი ეს კურსი/კურსები არ წარმოადგენს საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების მიმართულების სპეციალობის ძირითად მოდულს.

მუხლი 20. სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება

20.1. სტუდენტი ვალდებულია გააფორმოს სასწავლო ხელშეკრულება სწავლების პირველი სასწავლო წლის პირველი კვირის ბოლოს.

20.2. სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე ინახება სტუდენტის პირად საქმეში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში.

თავი VIII. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 21. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

21.1. საუნივერსიტეტო განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტი.

21.2. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

მუხლი 22. დიპლომი/მოწმობა

22.1. აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული ორი სახის დიპლომი: წარჩინების და ჩვეულებრივი, სტანდარტული დანართებით.

22.2. წარჩინების დიპლომი გაიცემა კურსდამთავრებულის საშუალო ქულის GPA - არანაკლებ 3.5 ქულის შემთხვევაში. წარჩინების დიპლომი ითვალისწინებს: ყველა გავლილი

სასწავლო კურსის A (91-100 ქულით) ან/და B (81-90 ქულით) შეფასებას; ასევე, საკვალიფიკაციო ნაშრომის მხოლოდ A (91-100 ქულით) შეფასებას.

22.3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 23. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული დოკუმენტები

23.1. ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N131/2–17.09.2007).

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N138/2–23.10.2009).

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N:15/2–17.02.2011).

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (ბრძანება N: 4–01.06.2016).

23.2. წინამდებარე აქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1ოქტომბრიდან. ცვლილება შეტანილია 2019 წლის 6 ნოემბრიდან.